საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№5 პერიოდული გამოცემა 2016 წ. მაისი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

მაისის მოვლენათა შორის ჩვენი წლიური ანგარიშის საკომიტეტო მოსმენას გამოვარჩევდი. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში ანგარიშში შესული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ მოხსენებები 28 სახელისუფლებო უწყებამ წარმოადგინა.

სიტყვით გამოსვლისას შევეცადე მოკლედ განმეხილა 2015 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით გამოკვეთილ ტენდენციები, 1261 გვერდიანი საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი თემატიკა, ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მისამართით შემუშავებული ძირითადი რეკომენდაციები.

სასიამოვნოა, რომ პარლამენტსა და სახალხო დამცველს შორის კონსტრუქციული და მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდა, რაც უდავოდ გააუმჯობესებს საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების ხარისხს და აამაღლებს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართ ანგარიშვალდებულებას.

მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო **საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წერილი** საქართველოს მთავრობისადმი, სადაც ჩვენი აპარატისთვის შესაფერისი შენობის გადაცემა მოითხოვეს. სამუშაო ვიზიტით ჩამოსულმა მრჩეველებმა პირადად იხილეს ის არასათანადო სამუშაო გარემო, როგორშიც ჩვენს რიცხობრივად გაზრდილ აპარატს უწევს მუშაობა.

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები 2
3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და ვიზიტები 4
4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 5
5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 7
   - პრეზენტაციები და დებატები 8
   - სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები 11
6. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა 11
7. წარმატებული საქმეები 13
8. მნიშვნელოვანი თარიღები 13
9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 14
10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 15

ოგე ბორჩგრევინკის, იორგენ იოჰანსენის, ევა პასტრანასა და მაინა კიაის წერილში უსაფრთხოებისა და ადაპტირების საკითხებზეც არის ყურადღება გამახვილებული.

მაისში მოწვევის წერილი გავუგზავნე გაეროს სპეციალურ მომხსენებელს შშმ პირთა უფლებების დაცვის საკითხებზე ქალბატონ კატალინა დევანდას აგილარს. საქართველოში ჩამოსვლა სპეციალურ მომხსენებელს საშუალებას მისცემს უკეთ შეაფასოს ადამიანის უფლებათა ირგვლივ არსებული მდგომარეობა და კონკრეტული ინსტიტუციური, სამართლებრივი, სასამართლო თუ ადმინისტრაციული სიტუაცია; შეხვდეს სხვადასხვა ჯგუფებს და შეიმუშავოს რეკომენდაციები.

იმედი მაქვს, სპეციალურ მომხსენებელთან წარმატებული თანამშრომლობის შემთხვევაში, მთავრობისა და სხვა პასუხისმგებელი მხარეების რეაგირების ღონისძიებები უფრო ეფექტური გახდება, რაც შშმ პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე აისახება.

მაისის მოვლენებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლი ხურჩა-ნაბაკევის გამშვებ პუნქტზე აფხაზი ე.წ. მესაზღვრეების მიერ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის სამწუხარო ფაქტს. არაერთხელ აღმინიშნავს, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის უფლებები არ არის სათანადოდ დაცული, განსაკუთრებით კი სოფელ ხურჩაში, სადაც მშვიდობიანი მოქალაქეები რუსი და აფხაზი სამხედროების პირისპირ, მარტო არიან დარჩენილი. ხიდს, სადაც მკვლელობა მოხდა, ყოველდღიურად გადაკვეთენ მოქალაქეები, მათ შორის სკოლის მოსწავლეები. გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გამო არაერთი შემთხვევა ფატალურად დამთავრდა, მათ შორის იყო არასრულწლოვანის გარდაცვალების ფაქტი.

მე **განცხადებით მივმართე** კონფლიქტის დარეგულირების საქმეში მონაწილე მხარეებს, სწრაფად და ეფექტურად მოხდეს ამ 30 წლის ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობის გამოძიება და თავად ეს ფაქტი საფუძვლად დაედოს უახლოეს მომავალში გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის განახლებული შეხვედრის ჩატარებას.

დასავლეთ საქართველოში შეხვედრები მქონდა აჭარისა და სამეგრელოს მოსახლეობასთან. წლებია ძირითადი გამოწვევები არ იცვლება – გაუმართავი ინფრასტრუქტურა, სოციალური გაჭირვება, ინფორმაციის ნაკლებობა, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის ხარვეზები. ასეთი შეხვედრები საშუალებას მაძლევს პირადად გავეცნო ჩვენი მოქალაქეების პრობლემებს, შევისწავლო განსაკუთრებული საკითხები და შევიმუშავო რეკომენდაციები ხელისუფლების ორგანოებისადმი.

მაისის თვეში საჯარო დებატები პირველად ჩავატარეთ თბილისს გარეთ – ქუთაისში. დებატებმა ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა, და სტუდენტების დიდი ინტერესი გამოიწვია. ვფიქრობ, კარგი ინიციატივაა და შემდგომშიც შეიძლება მსგავსი მნიშვნელობის ღონისძიებების რეგიონებში ჩატარება.

გასულ თვეს ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა სფეროში 4 სპეციალური ანგარიშის პრეზენტაცია მოვამზადეთ, 3 ტრენინგი გავმართეთ, ჩავატარეთ სხვადასხვა დახურული ინსტიტუციების მონიტორინგი და გავაანალიზეთ შედეგები, შევიმუშავეთ 10 რეკომენდაცია, აქტიური მონაწილეობა მივიღეთ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ შეხვედრებში. აქვე დავამატებდი, გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში, საქართველოს მიერ წარდგენილი პერიოდული ანგარიშების განხილვაზე ჩვენს მიერ მიწოდებულ ალტერნატიული ანგარიშს, სადაც ქვეყანაში დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებზე ვისაუბრეთ.

ერთი სიტყვით, სახალხო დამცველის ბიულეტენში ბევრ საინტერესო ინფორმაციას იპოვნით.

2. სახალხო დამცველის საჯარო განცხადებები

2.1. განცხადება სექსუალური შევიწროების დეფინიციის განსაზღვრის შესახებ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივის თაობაზე

11 მაისი. მისასალმებელია საქართველოს პარლამენტის წევრების თამარ კორძაიას და თამარ ხიდაშელის საკანონმდებლო ინიციატივა სექსუალური შევიწროების დეფინიციის განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი სანქცირების შემოღების შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინიციატივით გაზიარებული იქნა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია და შესწავლის შედეგები, სექსუალური შევიწროების მასშტაბების, პრობლემის დაფარული ხასიათისა და საკანონმდებლო რეგულირების მნიშვნელობის შესახებ.

საკანონმდებლო ინიციატივა იზიარებს ასევე, „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის სულისკვეთებას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ

ყველა ზომა სექსუალური შევიწროების დეფინიციისა და აკრძალვისათვის. აღსანიშნავია, რომ კონვენციის რატიფიცირება უახლოეს პერიოდში იგეგმება.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ საქართველოს პარლამენტი მხარს დაუჭერს წარდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება გენდერული თანასწორობის მიღწევის ხელშეწყობისათვის.

2.2. არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქება სატელევიზიო ეთერში

13 მაისს საქართველოს სახალხო დამცველი გამოეხმაურა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „ნანუკა ჟორჟოლიანის შოუსა“ და სამაუწყებლო კომპანია „იმედის“ გადაცემას „გია ჯაჯანიძის შოუს“, სადაც არასრულწლოვან ე.წ. „მორგის“ წევრებსა და „ემო ბავშვებზე“ იყო საუბარი.

გადაცემებში აქცენტი გაკეთდა ბავშვების ფიზიკურ აღწერილობაზე, ჩაცმის სტილზე და ა.შ. მათი ამ სახით წარმოჩენა კი ქმნის სტიგმატიზების საფრთხეს, რამაც საზოგადოების გარკვეული ნაწილისგან შესაძლოა მათ მიმართ გააძლიეროს სტერეოტიპული დამოკიდებულება და გამოიწვიოს აგრესია. ამასთანავე, ორივე გადაცემაში მეტნაკლებად იდენტიფიცირებადია ადგილები, სადაც ბავშვები იკრიბებიან. ასევე, ერთ სიუჟეტში ჩანს ბავშვების ფიზიკური დაზიანების კადრები, რომლებიც გადაღებულია ახლო ხედით.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა სამაუწყებლო კომპანიებს, რომ ბავშვის უფლებების კუთხით არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და წარმოჩენის მიზნით, თითოეული აღნიშნული პრობლემა გაშუქდეს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის, სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვის ჭრილში, რაც პირველ რიგში ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და მის დაცვას ნებისმიერი სახის მავნე ზეგავლენისგან.

2.3. პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი

14 მაისს საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა და მიიღო საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ ინიცირებული ცვლილებათა პაკეტი **„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“** და **„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“** საქართველოს კანონში განსახორციელებელი შესწორებების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ პირველი მოსმენის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული ცვლილებების პაკეტის განხილვის პროცესი მაქსიმალურად ფორსირებულ რეჟიმში წარიმართა და სულ რამდენიმე საათის შუალედით, სამი მოსმენით იქნა მიღებული. გარდა ამისა, კანონპროექტის პირვანდელი ვერსიის შემდგომ, პირველი მოსმენით შეტანილი ცვლილებები და მეორე მოსმენის ეტაპზე დაყენებული სრულიად ახალი ინიციატივები კომიტეტის სხდომამდე საჯაროდ არ იყო ხელმისაწვდომი.

აუცილებელია, რომ საკანონმდებლო ინიციატივის განხილვისა და მიღების საკანონმდებლო პროცესი იყოს ღია და უზრუნველყოფდეს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობისა და როლის მიუხედავად, საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე ცვლილებების განხილვა ამ პრინციპების დარღვევით წარიმართა.

გარდა ამისა, ცვლილებებთან დაკავშირებით არსებობს რიგი პრობლემური საკითხები, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საკონსტიტუციო სასამართლოს სწრაფ და ეფექტურ ფუნქციონირებას.

საქართველოს სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების არსებობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კი კონსტიტუციით აღიარებულ და გარანტირებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სამართლებრივი დაცვის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს. ის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებისთვის, კანონის უზენაესობის, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების და კონსტიტუციის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფისთვის.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული ცვლილებების განხილვისა და მიღების საკანონმდებლო პროცესი იყო გაუმჭვირვალე და არ უზრუნველყოფდა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საკითხზე ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის ჯეროვნად წარმართვის შესაძლებლობას. გარდა ამისა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებებით შესაძლოა საფრთხე შეექმნას საკონსტიტუციო სასამართლოს სწრაფ და ეფექტურ ფუნქციონირებას. მნიშვნელოვანია, სასამართლო რეფორმის პროცეს-

ში ჩართულმა ყველა სახელმწიფო ინსტიტუტმა გააცნობიეროს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სტრუქტურის უმნიშვნელოვანესი როლი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და სტაბილურობის პროცესში.

* ვენეციის კომისიის დასკვნის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" კანონს ვეტო დაადო და პარლამენტს 16-გვერდიანი შენიშვნები წარუდგინა.

2.4. განცხადება კორცხელში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით

საქართველოს სახალხო დამცველმა დაგმო **22 მაისს** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კორცხელის N53 საარჩევნო უბანთან მოქალაქეებზე, მათ შორის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტი. მედიით გავრცელებულ ვიდეო კადრებში ჩანს, რომ ძალადობაში მონაწილე პირები ჯგუფურად მოქმედებდნენ და იარაღად ხელჯოხებს იყენებდნენ.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა დროული რეაგირება უნდა მოახდინონ მსგავსი ძალადობის ყოველგვარ გამოვლინებაზე, მოხდეს ძალადობრივი ქმედებების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია, რათა არ გაჩნდეს დაუსჯელობის განცდა.

სახელმწიფო ვალდებულია ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაიწყოს დევნა იმ პირების მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ, ორგანიზებას უწევდნენ ან აქეზებდნენ ძალადობის ამ აქტს. მნიშვნელოვანია, რომ ძალადობა მიმართული იყო ოპოზიციური პარტიისა და ამ პარტიის მოქმედი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ, რაც ხელისუფლებას აკისრებს საქმის კიდევ უფრო მაღალი სტანდარტით გამოძიებისა და მყისიერი რეაგირების ვალდებულებას.

3. სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის მოადგილეების შეხვედრები და ვიზიტები

3.1. სახალხო დამცველი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას შეხვდა

23–26 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა დასავლეთ საქართველოში მოსახლეობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალური პირებთან შეხვედრები გამართა და რეგიონების პრობლემები მოისმინა.

23-24 მაისს საქართველოს **სახალხო დამცველი ქობულეთისა და სოფელ ლეღვას მოსახლეობას შეხვდა,** რომელთა ძირითად პრობლემებს სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხები წარმოადგენს, მათ შორის, გაზიფიცირებისა და სასმელი წყლის სისტემების გაუმართაობა; რაიონში არ არის ხანდაზმულთა თავშესაფარი; მწვავედ დგას სოციალური შემწეობების შეჩერების საკითხიც. კვლავ უშედეგოდ ითხოვენ სესხის გადავადებას 2008 წლის ომის გამო იპოთეკით დაზარალებული პირები.

ისაუბრეს მართლმსაჯულების და სამართლიანობის აღდგენის იმედით ძველი და მიმდინარე საქმეების გადახედვის მოთხოვნაზე. ასევე, გამოთქვეს უკმაყოფილება ქობულეთის პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობისა და ძალის გადამეტების ხშირი ფაქტების გამო.

24 მაისს ბათუმის მოსახლეობასა და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან შეხვედრაზე არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. მოგვიანებით უჩა ნანუაშვილმა **აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან არჩილ ხაბაძესთან** რეგიონში არსებული სოციალური გამოწვევები, ინფრასტრუქტურული პრობლემები და ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა განიხილა.

განიხილეს ასევე ე.წ „მუყაოს ქალაქის" მაცხოვრებელთა წინაშე მდგარი პრობლემები, ეკომიგრანტთა დახმარებისათვის არსებული რესურსები და პროგრამები; იპოთეკით დაზარალებულთათვის რეფინანსირების, ბათუმის ბულვარის აღდგენის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დავისა და ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები.

25–26 მაისს სახალხო დამცველმა **წალენჯიხისა და მარტვილის მუნიციპალიტეტების** სოფლების მოსახლეობისგან პირადად მიიღო ინფორმაცია რეგიონში არსებული საჭიროებების შესახებ. ძირითად პრობლემებს სამეგრელოშიც სოციალური საკითხები და ინფრასტრუქტურის გაუმართაობა წარმოადგენს: შეჩერებული გაზი-

ფიცირება, მოუგვარებელი ეკომიგრანტებისა და დევნილთა განსახლების საკითხი, სოციალურად დაუცველთა მძიმე მდგომარეობა.

ამბულატორიების უმრავლესობა არ მარაგდება მედიკამენტებით; გადაუდებელ შემთხვევებში ექიმები წამლების საკუთარი ხელფასით იძენენ; მოუწესრიგებელი გზების გამო გვიანდება სასწრაფო სამედიცინო მომსახურება და ავადმყოფის ტრანსპორტირება. სკოლები და ბაღები მეტწილად რეაბილიტაციას საჭიროებს. მოუწესრიგებელია საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების შიდა ინფრასტრუქტურა.

სახალხო დამცველი რეგიონში არსებული როგორც ინდივიდუალური, ასევე ზოგადი პრობლემების შესწავლას განაგრძობს და შესაბამის უწყებებს რეკომენდაციით მიმართავს.

3.2. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების მესამე აკადემია

თბილისში 30 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA), ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR), ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ევროპულ ქსელის (ENNHRI) თანამშრომლობით ჩატარდა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების აკადემია, რომელშიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების 30-მდე წარმომადგენელმა მიიღო მონაწილება, სესიებს გაუძღვნენ საერთაშორისო ექსპერტები.

ყოველწლიური აკადემიის მიზანია ევროპის რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლების პროფესიული განვითარება და მათ შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.

სესიები ჩატარდა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების დამოუკიდებლობის, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხებზე; ძირითად თემას წარმოადგენდა წამების პრევენციის საკითხები, ასევე ტერორიზმთან ბრძოლა და ადამიანის უფლებები.

4. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

4.1. ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე

სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ზოგადი წინადადებით სახალხო დამცველმა მოუწოდა სამინისტროს, ბიოლოგიის VIII კლასის გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოდან ამოიღოს სტიგმისა და სტერეოტიპების შემცველი ფრაზები და მსჯელობები.

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ სახელმძღვანელოში გამოყენებული ფრაზები, მსჯელობა და მცდარი ინფორმაცია ხელს უწყობს წამალდამოკიდებული, აივ ინფექციის და შიდსის მქონე ადამიანების მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულების გაძლიერებას და ახალისებს სხვადასხვა სფეროში მათი უფლებების შეზღუდვას დისკრიმინაციული მოტივით.

4.2. რეკომენდაცია „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“

13 მაისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა „ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“ წინასახელშეკრულებო

შრომით ურთიერთობებში ქონებრივი მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, სოფელ ღურტას ახალგახსნილ საბავშვო ბაღში პედაგოგის პოზიციაზე დასაქმების ერთ-ერთ კრიტერიუმს კანდიდატის ოჯახის სოციალური მდგომარეობა წარმოადგენდა, რომლის შეფასება მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ღურტას წარმომადგენლობის და მოსახლეობისგან მიღებულ ზეპირ ინფორმაციას ემყარებოდა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დასაქმება ადამიანის ინდივიდუალური არჩევანის ერთ-ერთი გამოხატულებაა. სამუშაოს განხორციელებისას პირს ეძლევა შესაძლებლობა, მოახდინოს თვითრეალიზაცია და სანაცვლოდ ჰქონდეს საკუთარი შემოსავლის წყარო. დაუშვებელია, დასაქმების უფლებით სარგებლობა განპირობებული იყოს არა კონკრეტული კანდიდატის ინდივიდუალური მახასიათებლების, არამედ მისი ოჯახის წევრების შემოსავლის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დასაქმებაზე უარი წარმოადგენს პირდაპირ დისკრიმინაციას ქონებრივი მდგომარეობის ნიშნით.

4.3. რეკომენდაცია გაერთიანების წევრობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ

13 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, შეიმუშავოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი კანონის თანასწორობის პრინციპთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პროცესში მონაწილეობის უფლება მათი გაერთიანებისადმი კუთვნილების მიუხედავად.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის ნორმების თანახმად, საფაკულტეტო საბჭოს წევრი სტუდენტები არიან მხოლოდ სტუდენტური თვითმართველობის წევრები, შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში და მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელებაში ჩართულები არიან მხოლოდ თვითმართველობის წევრები და არა სხვა სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული სხვა გაერთიანების წევრები არიან ან საერთოდ არ წარმოადგენენ რომელიმე გაერთიანებას.

კანონში არსებული ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის გაერთიანების უფლების ნეგატიურ ასპექტთან, რამდენადაც, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა, რომ სტუდენტი გაერთიანდეს თვითმმართველობაში, რაც წარმოადგენს იძულების ირიბ მექანიზმს და ამ გზით ზღუდავს სტუდენტის გაერთიანების უფლების ნეგატიურ ასპექტს. გაერთიანების თავისუფლების ნეგატიური ასპექტის დარღვევის შედეგად, სტუდენტები, რომლებიც არ ერთიანდებიან თვითმმართველობაში, არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან თვითმმართველობის წევრ სტუდენტებთან შედარებით.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სტუდენტის უფლება, არჩეულ იქნას ფაკულტეტის წარმომადგენლობით ორგანოში და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვის პროცესში, გაუმართლებლად არის დაკავშირებული მის გაერთიანებისადმი წევრობასთან, რამდენადაც, აღნიშნული წარმოადგენს ბარიერს სტუდენტისთვის მისი უფლებებით სარგებლობისას და არანაირი პრაქტიკული დანიშნულება არ გააჩნია.

4.4. რეკომენდაცია ორსულობის ნიშნით შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ

18 მაისს სახალხო დამცველმა შრომით ურთიერთობებში ორსულობის ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და საქმიანობის თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართვის შესახებ რეკომენდაციით მიმართა შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედოს“.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ორგანიზაციის ვანის ფილიალში შრომითი ხელშეკრულებები რვა თანამშრომელს განუახლეს და მხოლოდ ორსულ ქალბატონს აღარ გაუგრძელეს, რაც წარმოადგენს პირდაპირ დისკრიმინაციას ორსულობის ნიშნით.

საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით, დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დასაქმებული ქალის მიერ თავისი ორსულობის შესახებ დამსაქმებლისთვის შეტყობინების მომენტიდან, გარდა იმ საფუძვლისა, რომელიც შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლას გულისხმობს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დასახელებული მუხლი არ უნდა განიმარტოს, ისე, თითქოს ვადის გასვლა ავტომატურად გამორიცხავს ორსულობის ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლებლობას; დასაქმებულს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების ვადის გაგრძელება, თუ დადასტურდება, რომ ხელშეკრულების გაუგრძელებლობა დისკრიმინაციული მოტივით იყო განპირობებული.

4.5. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ არასრულწლოვანის საკუთრების უფლება დაარღვია

30 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ არასრულწლოვანის საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით.

კერძოდ, არასრულწლოვანის მამას ზ.ჩ.-ს სასამართლოს განჩინებით შეზღუდული ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლება არასრულწლოვანი შვილის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების გასხვისებისა და სარგებლობის ნაწილში. ზ.ჩ.-მ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინა მისი არასრულწლოვანი შვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება, რომელიც მან, როგორც შვილის კანონიერმა წარმომადგენელმა საკუთარ თავთან გააფორმა და აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია მოითხოვა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურმა არასრულწლოვანი შვილის უძრავ ქონებაზე მამის საკუთრების უფლება დაარეგისტრირა.

სახალხო დამცველმა დაადგინა არასრულწლოვანის საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტი, წინადადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილობა, ასევე, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის იმ უფლებამოსილი პირების წინააღმდეგ, რომლებმაც მიიღეს არასრულწლოვანი პირის უძრავ ქონებაზე მამის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება.

5. სახალხო დამცველისა და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

5.1. გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა საქართველოს მთავრობის ანგარიში განიხილა

2-3 მაისს გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა ჟენევაში გამართულ 89-ე სესიაზე საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 2 ივლისს, „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად წარდგენილი გაერთიანებული მე-6, მე-7 და მე-8 პერიოდული ანგარიშები განიხილა.

სესიაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ ქვეყანაში დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევების შესახებ **საქართველოს სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში** წარმოადგინა. ანგარიშში ხაზგასმულია ანტიდისკრიმინაციული კანონის ხარვეზები; მიმოხილულია ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, განათლებისა და სახელმწიფო ენის სწავლების მხრივ არსებული მდგომარეობა. ასახულია გალის მკვიდრთა მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვისა და დისკრიმინაციის ფაქტები, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები და რელიგიის თავისუფლების პრინციპების რეალიზაციის კუთხით არსებული გამოწვევები.

ანგარიში ასევე მოიცავს ყოფილი სსრკ–ს მიერ XX საუკუნის 40–იან წლებში საქართველოს სსრ–დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის, დევნილთა და თავშესაფრის საკითხებს.

5.2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

3 მაისს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მეექვსე სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე წარმოადგინეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2016 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. ისაუბრეს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახულ პენიტენციური სისტემაში არსებულ გამოწვევებზე, სხვადასხვა დახურული ტიპის დაწესებულებებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საბჭოს წევრებმა სახალხო დამცველს წარუდგინეს საკუთარი მოსაზრებები პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული აქტივობების, ანგარიშების, სამუშაო მეთოდოლოგიისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

5.3. ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს შეხვედრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან

4 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს სამუშაო შეხვედრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან ლია

გიგაურთან და სამინისტროს შემადგენელი სხვადასხვა სსიპ-ებისა და დეპარტამენტების წარმომადგენლებთან.

მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა ყურადღება გაამახვილა სამინისტროს მიერ შემუშავებულ ბილინგვური განათლების ახალ მოდელზე და ამ მოდელის შესაბამისად, სამომავლოდ სახელმძღვანელოების მომზადებასა და მასწავლებელთა გადამზადებაზე. ასევე ისაუბრა ეროვნულ სასწავლო გეგმებში მცირე ენების სტანდარტების შექმნის და მშობელთა განათლების პროგრამებზე.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლები მასწავლებელთა კვალიფიკაციის ზრდის, მშობლიური ენის საათობრივი ბადის, სახელმძღვანელოების თარგმნისა თუ მომზადების, მცირე ენების სწავლებისა და ინფრასტრუქტურის საკითხებით დაინტერესდნენ.

5.4. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ტრენინგი ჩაუტარდათ

7-8 მაისს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების და პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტების, ასევე რეგიონული დეპარტამენტის თანამშრომლებსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს, ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის მხარდაჭერა II“ ფარგლებში, სხეულის დაზიანების დოკუმენტირების საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის გაცნობის მიზნით ტრენინგი ჩაუტარდათ.

ტრენინგს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის წევრი, ექსპერტი ჯორჯე ალემპიევიჩი უძღვებოდა.

5.5. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოში

24–25 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ნიკო თათულაშვილმა და ლევან მესხორაძემ მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლობის მიერ გამართულ კონფერენციაში სახელწოდებით: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იმპლემენტაცია საქართველოში.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას სახალხო დამცველის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსმა ნიკო თათულაშვილმა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იმპლემენტაციის პროცესში ომბუდსმენის აპარატის როლზე ისაუბრა; აღნიშნა, რომ საქართველოს სახალხო დამცველი თავის რეკომენდაციებსა და სასამართლო მეგობრის მიმართვებში, ასევე, სამოქალაქო განათლების დონის ამაღლების მიზნით განხორციელებული საქმიანობისას აქტიურად სარგებლობს და ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს; ხაზი გაუსვა სახალხო დამცველსა და ევროპის საბჭოს სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას.

ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერების“ ხელმძღვანელმა ლევან მესხორაძემ საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების საკითხებზე ისაუბრა.

პრეზენტაციები, დებატები

5.6. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა და გენდერული თანასწორობა საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში

13 მაისს სახალხო დამცველმა სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის შესახებ ანგარიში წარუდგინა.

2015 წლის სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშის მიხედვით ქალთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა და გენდერული თანასწორობის მიღწევა კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. ანგარიში მოიცავდა გენდერული მეინსტრიმინგის არსებული პრაქტიკისა და გამოწვევების შესწავლის შედეგებს; ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესების საკითხს; მარტოხელა მშობლის დაცვისა და დახმარების სპეციალური ღონისძიებებისა და მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობას. ასევე საუბარი იყო უფლებადამცველი ქალების უფლებრივ მდგომარეობაზე და რიგ შემთხვევებში სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მხრიდან ქალ უფლებადამცველებზე განხორციელებული მუქარის ფაქტების და რისკების სწორად შეფასების პრობლემაზე.

ღონისძიებაზე აღინიშნა, რომ დაბალია საზოგადოების ცნობიერების დონე და ინფორმირებულობა რეპროდუქციულ და სქესობრივ ჯანმრთელობასა და უფლებებზე, ქვეყანაში არსებულ სერვისებსა და პროგრამებზე; კვლავ გვხვდება აბორტის ისეთი ფორმა, როგორიც გენდერული ნიშნით სქესის სელექციაა.

დღემდე პრობლემას წარმოადგენს ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენცია და შემთხვევების მართვა; ძალიან მძიმეა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თვალსაზრისით არსებული რეალობა, განსაკუთრებით შემაშფოთებელია ფემიციდის შემთხვევები. ნარკომომხმარებელი ქალებისთვის ორმაგ ბარიერს წარმოადგენს მკურნალობის ან ზიანის შემცირების პროგრამებზე, ასევე თავშესაფარზე ხელმისაწვდომობა.

2012 და 2013 წლების 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის სურვილით შეკრებილი ადამიანების მიმართ განხორციელდა სიძულვილით მოტივირებული ძალადობრივი ქმედებები. კვლავ გამოწვევას წარმოადგენს სამოქალაქო აქტებში ტრანსგენდერი ადამიანებისთვის სქესის ჩანაწერის ცვლილების შესაძლებლობა.

5.7. სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის მოკლე ვერსია

16 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ხელისუფლების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საპარლამენტო ანგარიშის მოკლე ვერსია წარმოადგინა. ანგარიშში ასახულია გასული წლის განმავლობაში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის ამსახველი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები.

სახალხო დამცველმა მოკლედ მიმოიხილა საპარლამენტო ანგარიშში ასახული სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურულ უფლებათა ფართო სპექტრი და ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მისამართით შემუშავებულ ის ძირითადი რეკომენდაციები, რომელთა შესრულების დროულობასა და ხარისხზე დიდწილად იქნება დამოკიდებული ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება ქვეყანაში.

ასევე ხაზი გაუსვა 2015 წელს ქვეყნისათვის გამორჩეულ და მნიშვნელოვან მოვლენებს; მათ შორის გაეროს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე საქართველო გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრად არჩევას, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველოში, 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს სავარაუდოდ ჩადენილი სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას; ისაუბრა საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ რეფორმებზე და დრემდე არსებულ გამოწვევებზე; ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ დადებით და უარყოფით ტენდენციებზე.

5.8. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანოებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა

19 მაისს სახალხო დამცველმა სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანოებში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიში წარუდგინა.

ანგარიშში შესულია 2014 წელთან შედარებით 2015 წელს მიმდინარე ცვლილებები დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ პირთა რაოდენობის, სხეულის დაზიანების და ზოგადად პოლიციის მიმართ პრეტენზიით მიმართვის შემთხვევების სტატისტიკური მონაცემები. განხილულია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევები.

შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის მიერ 2015 წელს საქართველოს მთავარი პროკურორისთვის გაგზავნილი 11 წინადადების საფუძველზე გამოძიება დაიწყო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების

კვალიფიკაციით და ეს მაშინ, როცა სახალხო დამცველის წინადადებებში მითითებული გარემოებები შეიცავს წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ნიშნებს.

5.9. საინფორმაციო ბიულეტენი კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის შესახებ

20 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა ოსური ფორუმის მონაწილეებს კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის შესახებ რიგით მეორე საინფორმაციო ბიულეტენი წარუდგინა.

დოკუმენტში ასახულია სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული სამუშაო კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის და კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები პირების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლასა და დაცვის შესახებ; ასევე, ოსური ფორუმის საქმიანობა და სახალხო დამცველის საგანმანათლებლო და ნდობის აღდგენის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები; იხილავთ ექსპერტ იორგენ იოჰანსენის ინტერვიუს ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტის ურთიერთმიმართების თაობაზე.

5.10. საჯარო დებატები ნარკოპოლიტიკის თემაზე

27 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ქუთაისში მორიგი საჯარო დებატები გამართა თემაზე: „ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა“.

სახალხო დამცველის ქუთაისის სამმართველოს წარმომადგენელმა გიორგი ლაბაძემ ნარკოშემოწმების მიზნით პოლიციელების მხრიდან მოქალაქეების დაკავების სტატისტიკა, კანონმდებლობის ხარვეზები და სასამართლო პრაქტიკა განიხილა.

ნარკოდანაშაულის დეკრიმინალიზაციას ცალსახად არ ემხრობა შინაგან საქმეთა სამინისტრო. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა ზვიად ოქროპირიძემ ნარკოპოლიტიკის საერთაშორისო პრაქტიკა მიმოიხილა და ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნების უმრავლესობაში ნარკოტიკების მოხმარება დასჯადი ქმედებაა.

არასამთავრობო ორგანიზაციის „ზიანის შემცირების ქსელის“ წარმომადგენელმა კახაბერ კვაშილავამ 2015 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება მიმოიხილა და ხაზი გაუსვა კანონის ლიბერალიზაციის აუცილებლობას, რათა მოსამართლეებს ობიექტური მართლმსაჯულების აღსრულების საშუალება მიეცეთ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯომარემ დიმიტრი გვრიტიშვილმა არსებული სასამართლო პრაქტიკაზე ისაუბრა.

ღონისძიების დასასრულს ნაჩვენები იქნა არასამთავრობო ორგანიზაცია „თეთრი ხმაურის“ მიერ მომზადებული ვიდეორგოლი, რომელშიც მოთხრობილია პირადი ისტორია და ასახავს პოლიციის მიერ განხორციელებულ ზეწოლას.

სახალხო დამცველის საჯარო დებატები მხარდაჭერილია ევროკავშირის პროექტის მიერ „სახალხო დამცველის მხარდაჭერა II“.

5.11. ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

31 მაისს სახალხო დამცველმა სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს საქართველოში მოქმედ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ სპეციალური ანგარიში წარუდგინა, რომელიც სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 12 სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს ასახავს.

ანგარიშში ზედმიწევნით არის განხილული მონიტორინგისას აღმოჩენილი დარღვევები, მათ შორის ბენეფიციართა მიმართ ფიზიკური ძალადობის ფაქტებიც. ხაზგასმულია, რომ არასაკმარისი დაფინანსება საბოლოო ჯამში იწვევს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვალიფიციური პერსონალის სიმცირეს, სათანადო, თერაპიული გარემოს არარსებობას, მკურნალობის, მოვლის, ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის დაბალ ხარისხს, ხანგრძლივ ჰოსპიტალიზაციას და თემზე დაფუძნებული სერვისების ხელმიუწვდომლობას.

საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთ ძირითად რეკომენდაციას ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების გაზრდა, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, ასევე ფსიქიატრიული დახმარების ხარისხისა და დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება წარმოადგენს.

სამოქალაქო განათლების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები

5.12. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი ჟურნალისტებისთვის

11-12 მაისს, ბორჯომში საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში ჟურნალისტებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე – „საერთაშორისო სასამართლოებში საქართველოსთან დაკავშირებული საქმეების გაშუქების უნარების გაუმჯობესება“, სადაც განხილული იყო საერთაშორისო სასამართლოების მანდატი, ფუნქციური მოდალობები და საქართველოსთან დაკავშირებული საქმეების შინაარსი, პროცესი და განხილვის შედეგები.

ევროკავშირის პროექტის – „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა“, დაფინანსებით ჩატარებულ ტრენინგს საერთაშორისო სასამართლოების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები უძღვებოდნენ.

5.13. ტრენინგი მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების შესახებ

16-20 მაისს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა აკაკი კუხალეიშვილმა მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების შესახებ ტრენინგის მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი და არასათანადო მოპყრობის პრევენციის საერთაშორისო სტანდარტები გააცნო.

მიგრანტთა კოლექტიური დაბრუნების ერთობლივი ოპერაციების მონიტორინგის შესახებ ტრენინგი ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსის“ (FRONTEX) ორგანიზებით გაიმართა.

5.14. ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის

23–27 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის იმპლემენტაცია და მონიტორინგი“.

განიხილეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია, კონვენციის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის საქმეში სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება, გონივრულ მისადაგებაზე უარი და დისკრიმინაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის ორგანო; კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საუკეთესო გზები.

ტრენინგი ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული „სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის მხარდაჭერა“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა.

6. რეგიონული დეპარტამენტის პერიოდული საქმიანობა

სახალხო დამცველის აპარატის იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს აქტივობა

6.1. შეხვედრა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის თანამშრომლებთან

9 მაისს სახალხო დამცველის აპარატის იმერეთის რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს უფროსი მადონა ბასილაძე შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის დასაქმებულებს შეხვდა და მათ სამუშაო პირობებზე, უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოზე ისაუბრეს.

ქარხნის თანამშრომელთა ინფორმაციით, იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირმა, საქართველოს მეტალურგიულ მუშაკთა პროფკავშირმა და შპს „ჯორჯიან მანგანეზმა 2013 წელს მიაღწიეს შეთანხმებას, რომლიც ითვალისწინებდა შრომითი პირობების გაუმჯობესებასა და სხვა შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებას, რაც დამსაქმებელ ამ დრომდე არ შეუსრულებია.

დასაქმებულები ითხოვენ ხელფასის ყოველწლიურ ავტომატურ ინდექსაციას საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალური მაჩვენებლების მიხედვით, ასევე, კოლექტიური ხელშეკრულების 2013 წელს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე გაფორმებას.

6.2. ბავშვთა დაცვის ჯგუფის სამუშაო შეხვედრა

13-14 მაისს მადონა ბასილაძემ მონაწილეობა მიიღო World Vision Georgia–ს იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამის ფარგლებში ბავშვთა

დაცვის ჯგუფის სამუშაო შეხვედრაში, სადაც განიხილეს ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისა და გამოვლენის გზები, განსაზღვრეს სამოქმედო გეგმა და გასატარებელი ღონისძიებები, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურების ეფექტურობის ხელშეწყობისთვის.

6.3. დევნილთა მდგომარეობა

17 მაისს მადონა ბასილაძემ და სახალხო დამცველის წარმომადგენელმა თამთა ჩეჩელაშვილმა ქუთაისში, ამჟამად ყოფილ „ჩვილ ბავშვთა სახლში“ მცხოვრები რამდენიმე დევნილი ოჯახი მოინახულეს. შეხვედრისას გაირკვა, რომ ერთ–ერთი მრავალშვილიანი ოჯახის კუთვნილი შენობა ფართის სიმცირისა და დაზიანებების გამო ვერ აკმაყოფილებს სათანადო საცხოვრებელი პირობებისთვის აუცილებელ მინიმალურ მოთხოვნებს.

6.4. ქუთაისში სოციალურად დაუცველთა საკითხები განიხილეს

19 მაისს მადონა ბასილაძე და სახალხო დამცველის წარმომადგენელი თამთა ჩეჩელაშვილი სოციალური მოსახურების სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრის უფროს ნინო ღაჭავას შეხვდნენ. ისაუბრეს სახალხო დამცველის აპარატისთვის სოციალურად დაუცველი ოჯახების მომართვიანობის გაზრდის ტენდენციასა და გამომწვევ მიზეზებზე, სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიას და პრაქტიკაში მისი განხორციელებისას გამოვლენილ პრობლემებზე.

სახალხო დამცველის აპარატის აჭარის სამმართველოს აქტივობა

6.5. საქართველოს გაეროს ასოციაციის და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ვიზიტი პენიტენციური დეპარტამენტის N3 ბათუმის დაწესებულებაში

19 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულმა აჭარაში ლანა მოდებაძემ საქართველოს გაეროს ასოციაციის წარმომადგენლებთან გოგი ფუტკარაძესთან, ალექსანდრე სვანიძესთან და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლებთან ჯულია მოსერთან და ბესიკი ანდრიაძესთან ერთად, „ლტოლვილთა და მიგრაციის პროგრამის“ ფარგლებში შეხვედრა გამართა პენიტენციური დეპარტამენტის N3 დაწესებულების დირექტორ მიხეილ კანდელაკთან. შეხვედრაზე განიხილეს N3 დაწესებულებაში მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მდგომარეობა და პირობები.

დელეგაციის წევრები ასევე შეხვდნენ ბათუმის N3 დაწესებულებაში განთავსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულებს. არცერთ მათგანს არ გამოუთქვამს თავშესაფრის მიღების სურვილი და არც რაიმე სახის პრეტენზიები დაწესებულების ადმინისტრაციასთან და დაწესებულებაში არსებულ პირობებთან დაკავშირებით.

6.6. საპროტესტო აქცია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით

28 მაისს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსი ციალა ქათამიძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა საპროტესტო აქციაზე მივიდა და მოსახლეობის მოთხოვნებს ადგილზე გაეცნო.

სოფლების კირნათისა და მარადიდის მოსახლეობა, სამშენებლო კომპანია „აჭარა ენერჯი 2007–ის“, აჭარის მთავრობისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსგან მდინარე ჭოროხზე ჰიდრო ელექტრო სადგურის მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით, სამომავლო გეგმების გასაჯაროებას და მოსახლეობისათვის შეპირებული კომპენსაციის გაცემას ითხოვდნენ.

სახალხო დამცველის აპარატის გურიის სამმართველოს აქტივობა

6.7. შეხვედრა გურიის რეგიონის სკოლების მოსწავლეებთან

5 მაისს სახალხო დამცველის საკონტაქტო პირი გურიაში მაკა მალაყმაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ მიწვევით, რეგიონის სხვადასხვა სკოლის უფროსკლასელებს შეხვდა და ბავშვთა უფლებებსა მათ დაცვისთვის აუცილებელ ღონისძიებებზე ისაუბრა.

6.8. საუბრები გენდერული თანასწორობის შესახებ სოფელ ნაგომარის საჯარო სკოლაში

16 მაისს სახალხო დამცველის გურიის ოფისის თანამშრომლები ანა გახოკიძე და მაკა მალაყმაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგომარის საჯარო სკოლას ეწვივნენ და IX კლასის მოსწავლეებს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის

დამკვიდრებისათვის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა გააცნეს; ასევე ისაუბრეს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში ასახული გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციებსა და სასამართლოს მეგობრის მოსაზრების შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველოს აქტივობა

6.9. ონის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები სახალხო დამცველის მანდატს გაეცნენ

8 მაისს სახალხო დამცველის წარმომადგენელი რაჭა–ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სოფიო ხვადაგიანი ონის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაშხიეთის, სხიერის, კომანდელის და პიპილეთის მოსახლეობას შეხვდა და სახალხო დამცველის მანდატი გააცნო.

7. წარმატებული საქმეები

7.1. მოქალაქემ საარსებო შემწეობის მიღების უფლება მოიპოვა

6 მაისს სახალხო დამცველს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან შეატყობინეს, რომ მისი მიმართვის საფუძველზე სააგენტომ დამატებით შეისწავლა მარტოხელა, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ი.კ.–ს სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა და საარსებო შემწეობის მიღების უფლება მიანიჭა.

ი.კ. 2014 წლამდე იღებდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის განკუთვნილ საარსებო შემწეობას. 2014 წელს კი მას მაღალი სარეიტინგო ქულა დაუდგინდა და ფულადი სოციალური დახმარება შეუწყდა. კიდევ უფრო მაღალი ქულა დაუდგინდა 2015 წლის დეკემბერში ჩატარებული შეფასების საფუძველზე. მოქალაქემ, რომელიც უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა, დახმარებისთვის სახალხო დამცველის მიმართა.

სახალხო დამცველმა მოქალაქის მდგომარეობის ობიექტური შეფასების მოთხოვნის წერილი გაუგზავნა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

7.2. სახალხო დამცველის ძალისხმევით უცხო ქვეყნის მოქალაქე მსჯავრდებულს C ჰეპატიტის მკურნალობა უტარდება

24 მაისს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ სახალხო დამცველს აცნობა, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს აქტიური თანამშრომლობის შედეგად, სახალხო დამცველის რეკომენდაციაში დასმული პრობლემა ამ ეტაპზე აღმოფხვრილია და პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა თუ მოქალაქეობის არმქონე პირებს, საშუალება აქვთ ჩაერთონ „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე“ სახელმწიფო პროგრამაში.

C ჰეპატიტით დაავადებულ მსჯავრდებულ კ.ყ.–ს ესაჭიროებოდა მედიკამენტ „სოფოსბუვირით“ მკურნალობა, თუმცა, უარს ეუბნებოდნენ, ვინაიდან არ არის საქართველოს მოქალაქე.

საქართველოს სახალხო დამცველმა პატიმრისადმი დამამცირებელი მოპყრობისა და მოქალაქეობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ **რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას,** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს.

8. მნიშვნელოვანი თარიღები

8.1. ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს

17 მაისი ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, სამწუხაროდ, ყველაზე ხშირად ხდება ლგბტ ადამიანების და მათი მხარდაჭერების მიმართ ძალადობრივი ქმედებების განხორციელება და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ჩადენა და არც ქმედითი ნაბიჯები გადადგმულა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და შემწყნარებლობის კულტურის ჩამოყალიბებისათვის.

17 მაისს, გამთენიისას **10 ლგბტ აქტივისტი დააკავეს** სტენსილების ხატვისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო.

საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელებთან საუბარში ლგბტ აქტივისტებმა განაცხადეს, რომ ისინი უხეში ფორმებით, ყოველგვარი განმარტების გარეშე და ჰომოფობიური ენის გამოყენებით დააკავეს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა, მათი ტრანსპორტირება არ განხორციელებულა პოლიციის ავტომანქანებით და რამდენიმე საათის განმავლობაში დაკავებულთა ადგილსამყოფელს სახალხო დამცველის რწმუნებულებმაც კი ვერ მიაგნეს. დაკავებულები აღნიშნავდნენ, რომ მათთვის დაკავებისთანავე არ განუმარტავთ უფლებები და არ მიუციათ ახლობლებთან დაკავშირების შესაძლებლობა.

ნახატების თვითნებურად შესრულება შენობათა ფასადებსა თუ ღობეებზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა, თუმცა, სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება აღნიშულ ქმედებებზე მკაცრ ნორმატიულ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული.

პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ნაწილში მნიშვნელოვანია შეფასდეს რამდენად ჰქონდათ შესაძლებლობა ლგბტ აქტივისტებს მაიდენტიფიცირებული ნიშნების, დოკუმენტებისა და სათანადო განმარტების არარსებობის პირობებში შესაბამისი პირები აღექვათ პოლიციის თანამშრომლებად.

ასევე, დაუყოვნებლივ უნდა იქნას შესწავლილი დაკავებისას სამართალდამცავთა მხრიდან ძალის გადამეტებისა და ჰომოფობიური ენის გამოყენების, დაკავებულებისათვის უფლებების დაუყოვნებლივ განმარტების მოვალეობის დარღვევის საკითხი და მას უნდა მოყვეს მკაცრი რეაგირება.

სახალხო დამცველმა მოუწოდა ხელისუფლების ორგანოებს, მაქსიმალურად შეეწყოს ხელი სიძულვილით განპირობებული ძალადობრივი ქმედებების პრევენციასა და ჰომოფობიური გამოვლინებების აღკვეთას, ასევე ლგბტ ადამიანების კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების და თავისუფლებების უპირობო განხორციელების ხელშეწყობას.

17 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები მთელი დღის განმავლობაში აკვირდებოდნენ ამ მხრივ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს.

8.2. 21 მაისს კავკასიური ომების მსხვერპლთა ხსოვნის დღე აღინიშნება

სახალხო დამცველმა პატივი მიაგო კავკასიური ომების მსხვერპლთა ხსოვნას და აღნიშნა, რომ საჭიროა სათანადოდ გაანალიზდეს წარსული მოვლენები და მათი შედეგები, ისევე, როგორც მათი გავლენა დღევანდელ კონფლიქტებზე, რათა თავიდან ავიცილოთ მსგავსი ქმედებები მომავალში. ამ მოვლენის სათანადო შეფასება ხელისუფლებებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და აქტიური ნაბიჯების გადადგმა ამ ხალხთა უფლებების დაცვის მიმართულებით, ხელს შეუწყობს რეგიონში მშვიდობას და ამ ხალხთა უფლებების აღდგენას.

8.3. 31 მაისი – მსოფლიო დღე „თამბაქოს გარეშე“

1987 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეამ 31 მაისი „თამბაქოს გარეშე“ საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. ამ დღეს კიდევ ერთხელ ხდება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება თამბაქოს მავნებლობასთან დაკავშირებით და მსოფლიოს ყურადღების მიქცევა თამბაქოს ეპიდემიისა და მისგან გამოწვეული უმძიმეს შედეგებისადმი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციაზე ხელმოწერით საქართველომ აიღო ვალდებულება ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის კუთხით საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, ეფექტური ღონისძიებების გატარებაზე, თუმცა, ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ ჭიანურდება თამბაქოს კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დახვეწის პროცესი.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უპირველესი ამოცანაა საქართველოს თამბაქოს კონტროლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დახვეწა, რათა სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვით, საქართველოს მოსახლეობა და განსაკუთრებით ახალგაზრდები დაცული იყვნენ თამბაქოს მავნე ზემოქმედებისგან.

9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

9.1. „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“

4 მაისს ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტმა საკითხზე – „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“, მიიღო გადაწყვეტილება, სადაც ხაზგასმულია, რომ რუსეთის ფედერაციამ, როგორც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფაქტობრივი კონტროლის მქონე და ადამიანის უფლებათა დაცვაზე პასუხისმგებელმა სახელმწიფომ, უნდა უზრუნველყოს ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლება; შექმნას პირობები იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისა და საკუთრების უფლების დასაცავად; მოხსნას ნებისმიერი სახის დაბრკოლება ან შეზღუდვა ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილების თავისუფლების უზრუნველსაყოფად და თავიდან აიცილოს პირთა უკანონო დაკავება; დაიცვას ამ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები დისკრიმინაციული მოპყრობისაგან; გამოიძიოს ადამიანის უფლებათა დარღვევები ამ ტერიტორიებზე.

გადაწყვეტილებაში მინისტრთა მოადგილეების კომიტეტმა გამოხატა წუხილი, რომ მიუხედავად რუსეთის ფედერაციის მიმართ მუდმივი მოწოდებებისა, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების გასწვრივ გააუქმოს ხელოვნური დაბრკოლებების აღმართვის პროცესი, ის განაგრძობს ამ პროცესს სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის, ახალი სადემარკაციო ნიშნების აღმართვით.

ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 2014 წლის 29 აპრილისა და 2015 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებები, რომლებშიც ხაზგასმულია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

9.2. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ კანონიერად მიიჩნია თამბაქოს წინააღმდეგ მიღებული რეგულაციები

4 მაისს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) უარყო თამბაქოს მწარმოებელთა სარჩელი და კანონიერად მიიჩნია თამბაქოს პროდუქტების შესახებ ევროპის კავშირის დირექტივის დებულებები.

კერძოდ, დირექტივის მიხედვით, რომელიც ევროპის პარლამენტმა 2014 წელს დაამტკიცა, სიგარეტის კოლოფის წინა და უკანა მხარის 65% მოწევის მავნებლობის შესახებ გაფრთხილებას უნდა დაეთმოს. გარდა ამისა, იკრძალება არომატიზირებული და მენთოლიანი სიგარეტების გაყიდვა. მათ შორის, იკრძალება ელექტრონული სიგარეტების რეკლამა.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოსთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები 2016 წლის 20 მაისიდან შევიდა ძალაში, ისინი სრული ძალით 2020 წლის 20 მაისიდან ამოქმედდება.

9.3. რუსეთის ფედერაციას დეპორტაციისას გარდაცვლილის ოჯახისთვის 70 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა

27 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების მიხედვით, რუსეთის სახელმწიფომ 70 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს 2006 წელს რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების მასობრივი დეპორტაციის დროს გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქის მანანა ჯაბელიას ოჯახს.

აფხაზეთიდან იძულებით დევნილი მანანა ჯაბელია მოსკოვის მილიციამ 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისში დააკავა, როდესაც მისი პასპორტი საქართველოს საელჩოში იყო გამოსაცვლელად. პირველი ინსტანციის სასამართლომ ჯაბელიას დეპორტაციის გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა შიმშილობა გამოაცხადა, ახალი მოსმენა ჩაინიშნა. მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ვერ აღმოაჩინა ჯაბელიას დეპორტაციის საფუძველი და საქმე პირველ ინსტანციაში დააბრუნა. საქართველოს მოქალაქე ახალი პროცესის გამართვამდე რუსეთის ერთ-ერთ იზოლატორში გულის შეტევით გარდაიცვალა.

განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე ასაჩივრებდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–2 (სიცოცხლის უფლება), მე–3 (წამების აკრძალვა) და მე–5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) მუხლების დარღვევას. ისინი, ასევე, მიუთითებდნენ მე–13 მუხლის (უფლება სამართლიანი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე) დარღვევაზე კონვენციის მე–3 მუხლთან და მე–5 მუხლთან (1) მიმართებით. დაბოლოს, განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე ამტკიცებდნენ, რომ მანანა ჯაბელიას მიმართ დაირღვა ევროპული კონვენციის მე–18 მუხლი (უფლებებზე შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) მე–5 მუხლთან (1) მიმართებით.

რუსეთის მხარემ საქმეზე მომჩივანთან მორიგება ითხოვა, რასაც გარდაცვლილის ოჯახი დათანხმდა. საბოლოოდ, რუსეთს მანანა ჯაბელიას ოჯახისთვის 70 ათასი ევროს გადახდა და სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება დაეკისრა.

10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

10.1. ახალი თანამშრომელი

23 მაისიდან ევროკავშირის პროექტში „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა II“ ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო თამარ ჭელიძემ.

10.2. მორიგი დონაციის აქცია

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ დონაციის აქციაში, რომელიც სახელწოდებით – „თქვენ დღეს სიცოცხლე გადაარჩინეთ“, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს.

24 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის მედიკოსები მოიწვიეს და სისხლი გაიღეს.

10.3. მომართვიანობის სტატისტიკა

მაისის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 765 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 659 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი - 27
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 39
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 304

- რეგიონული დეპარტამენტი — 220
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი — 21
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 13
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 11
- ანალიტიკური დეპარტამენტი — 6
- თანასწორობის დეპარტამენტი — 17
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი — 1



შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა — 2
- ჯანმრთელობის უფლება — 4
- შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება — 1
- საარჩევნო უფლება — 1
- გამოხატვის უფლება — 1
- ინფორმაციის მიღების უფლება — 46
- დისკრიმინაცია — 5
- რელიგიის თავისუფლება — 3
- საერთო სასამართლოებში საქმის განხილვის გაჭიანურება — 2
- სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაჭიანურება — 15
- ეკოლოგიურ-გარემოსდაცვითი უფლებები— 1
- განათლების უფლება — 1
- ხანდაზმულთა უფლებები — 3
- მიგრანტთა, თავშესაფრის მაძიებელ და თავშესაფრის არ მქონე პირთა უფლებები — 1
- ეკო-მიგრანტთა უფლებები — 2
- დევნილთა უფლებები — 11
- სოციალური დახმარებს საკითხი — 17
- შრომითი უფლებები — 4
- საკუთრების უფლება — 17
- უფლება სათანადო საცხოვრისზე — 12
- პატიმრობების პირობები — 196
- პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა — 81
- წამება და არასათანადო მოპყრობა — 40
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებულ ტერიტორიების
- გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებები — 1
- ბავშვის უფლებები — 20
- გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებები — 11
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები — 9



კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ოზურგეთი:
დავით აღმაშენებლის 9
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის 4
ტელ.: 0362 22 32 83
მობ.: 577 12 27 70;
591 96 88 82

ზუგდიდი:
კოსტავას 58
ტელ.: 0415 22 36 11
მობ.: 595 52 53 56

ბათუმი:
მაზნიაშვილის 9
ტელ.: 0422 27 05 44
მობ.: 595 80 78 43

მარნეული:
რუსთაველის 51
ტელ.: 0357 22 19 70
მობ.: 595 52 53 57

გორი:
სამების N1
ტელ.: 0370 27 05 49
მობ.: 551 66 14 77

ქუთაისი:
რუსთაველის 18
ტელ.: 0431 25 33 50
მობ.: 577 55 33 81

თელავი:
ჩოლოყაშვილის 3
მობ.: 591 88 35 38
ტელ.: 0350 27 99 27

ცხელი ხაზი – 1481

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ნიკო თათულაშვილი
ლევან მესხორაძე